



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №55

2014 წლის 26 აგვისტო

ქ. დუშეთი

არასამეწარმეო იურიდიული პირების: „დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“, „კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის“, ალ.როინაშვილის სახელობის საბიბლიოთეკო გაერთიანების“, „მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის“, „სასპორტო გაერთიანების და მათი ფილიალების; „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დუშეთის მუნიციპალური ცენტრის“, „უფასო სასააღილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ საშტატო განრიგებისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის N88 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებას“ დაემატოს ერთი საშტატო ერთეული - სანიჩბოსნო ბაზის ადმინისტრატორი. შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის N88 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების დანართი N5-ის სახით დამტკიცებულ „არასამეწარმეო იურიდიული პირის - “დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების” და მათი ფილიალების საშტატო ერთეულების და თანამდებობრივი სარგოების“ ამსახველ ცხრილის პირველ დანაყოფს (დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 სტრიქონი

5	სანიჩბოსნო ბაზის ადმინისტრატორი	1	400
---	---------------------------------	---	-----

2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი